ხელშეკრულება №65

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 მარტი 2016 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,სპორტმშენსერვისი" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ტარყაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ციტადელი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ქურცაძის სახით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია: 3 (სამი) ერთეული „ფანერა"–ს შესყიდვა (ზომით 244*122, სისქე 15მმ.) **CPV – 44100000;**

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **300 (სამასი) ლარი;**

2.2 ერთი ერთეული „ფანერა"–ს ღირებულებაა 100 (ასი) ლარი;

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. (მათ შორის დღგ–ს);

3. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდება და მიღება ჩაბარების წესი**

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

4.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი ლევან ტარყაშვილი;

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი –თენგიზ დოლიძე);

5.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

5.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი"-ს წარმომადგენელი თენგიზ დოლიძე;

6.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

6.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

7.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

საქართველო შპს "ცისტადელი" GEORGIA 404924285 "TSITADELI" LTD

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაჭრის გზები

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 მაისის ჩათვლით;

12. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 204878542 მის:ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ.#9 **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „საქართველოს ბანკი“–ს ცენტრალური ფილეალი ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომ: GE17BG0000000624570700	შპს ,,ციტადელი” საიდენტიფიკაციო კოდი: 404924285 **მის:** ქ. თბილისი, რ. აგლძის #32 **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი: MIBGGE22 ანგარიშის ნომ: GE03 PC0223 6001 000 11 777

დირექტორი: ლ. ჩარყაშვილი

დირექტორი: გ. ქურცაძე

შემსყიდველი

მიმწოდებელი